ცნობები/პუნქტები, რომლებიც შესულია სამართალსუბიექტის თითოეული ორგანიზაციის ფინანსურ აღრიცხვებში, შეფასებულია იმ ეკონომიკური გარემოს პრიორიტეტული ვალუტის გამოყენებით, რომელშიც სამართალსუბიექტი მოქმედებს („ფუნქციური ვალუტა“). ფუნქციური ვალუტა სამართალსუბიექტის მშობელი კომპანიისა არის ქართული ლარი („GEL“). სამართალსუბიექტის ფინანსურ აღრიცხვებში წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საწინააღმდეგოა მითითებული.

ნასესხები სახსრები.

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული ტრანზაქციების დანახარჯების გამოკლებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით

მოგების გადასახადი.

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში მყოფი კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი გამომუშავებულ მოგებაზე. მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა: ა) განაწილებული მოგება; ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; დ) საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დასაბეგრ თანხაზე (დასაბეგრი თანხის მისაღებად, მაგ. დივიდენდის განაწილებისას, განაწილებული დივიდენდის თანხა, რომელიც მოიცავს დივიდენდის გადასახადსაც, თუ ამას ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა, უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში.

განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე, 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში, 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებიდან განაწილებული დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას დასაბეგრ თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა გაყოფილი 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ოდენობაზე და გამრავლებული საანგარიშო პერიოდში დივიდენდის სახით განაწილებული თანხის ოდენობაზე, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს, განაწილებული დივიდენდების შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხას. დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

ხარჯს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, მიეკუთვნება ისეთი ხარჯები, როგორიცაა, მაგ. ა) ხარჯი, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებული არ არის; ბ) ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება. მოგების

**ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

გადასახადით იზეგრება ასევე, ა) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის: გადახდილი, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმა, ავანსის გადახდა, სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა; ბ) ფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტზე სესხის გაცემა და სხვ. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ „გადასახადებში“ და არა მოგების გადასახადში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა .

ხელმძღვანელობა კომპანიას გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა, სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები, ჯარიმებისა და საპროცენტო განაკვეთის გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი .

დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია: ა) დასაბეგრი ოპერაცია; ბ) იმპორტი; გ) ექსპორტი, რეექსპორტი; დ) დროებითი შემოტანა. დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებია: ა) საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა ან არაუგვიანეს მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის მომენტისა, თუ თანხის გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე; ბ) დღგ-ით შეძენილი საქონლის/მომსახურების გამოყენება არაეკონომიკური საქმიანობისათვის, თუ ამ საქონელზე/მომსახურებაზე გადამხდელმა მიიღო დღგ-ის ჩათვლა, გ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში საქონლის ნაშთი, რომელზედაც გადამხდელს მიღებული აქვს ჩათვლა, დ) საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენება, ე) საწარმოდან ან/და ამხანაგობიდან წილის სანაცვლოდ მომსახურების ან საქონლის ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღება, ვ) იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას მოიჯარის მიერ ძირითადი საშუალებების მეიჯარისათვის დაბრუნება, ზ) ტურისტული საწარმოს სტატუსის მოქმედების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას სტატუსის გაუქმების მომენტი. ბიუჯეტში შესატანი დღგ მოიცავს: ა) დასაბეგრი ბრუნვიდან ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა დასაბეგრი ბრუნვაზე დარიცხულ დღგ-ის თანხასა და ჩასათვლელ დღგ-ის თანხებს შორის; ბ) საქონლის იმპორტისას ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას; გ) საქონლის დროებითი შემოტანისას ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას; დ) უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციიდან ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას.

**ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება შედგება: შესყიდვის ფასის, იმპორტის გადასახადის, დაუბრუნებელი გადასახადების, ტრანსპორტირების და სხვა ხარჯებისგან, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება შესყიდულ მარაგებზე. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული გაყიდვის დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი .

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიას მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ინდიკატორი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი.

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომელმაც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) განხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარცხები .

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარცხების შეფასება ხდება მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინსაწარი გადახდის სახით.

როდესაც კომპანია მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო კონტრაქტის ფარგლებში, ეს ანაზღაურება აღიარდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტიურად გარდევალა.

შემოსავლის აღიარება

მენეჯმენტმა თავიანთი შეფასებების გაკეთებისას, გაითვალისწინა დეტალური კრიტერიუმები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფასს-ში მითითებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისა და კერძოდ დააკმაყოფილა თუ არა ორგანიზაციამ თავისი შესრულების ვალდებულება. სამართალსუბიექტის ფინანსური ვალდებულებების დეტალური რაოდენობის განსაზღვრის შემდეგ, მისი შესრულების ვალდებულების განხორციელების შესაბამისად, და შეთანხმებული შეზღუდვა მომხმარებლის შესაძლებლობებზე, რომ მოითხოვოს შემდგომი მუშაობა, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადაცემულია და შემოსავლის აღიარება მიმდინარე წელს არის შესაბამისი, სათანადო შესრულების ვალდებულების განხორციელებისთვის შესაფერისი მარაგის აღიარებასთან ერთად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო, ვალუტისა და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციებს.

2016 წლის მაისში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილება კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის მოდელში, 2017 წლის 1 იანვარს ძალაში შესული ცვლილებებით ყველა სამართალსუბიექტისთვის, გარდა გარკვეული ფინანსური დაწესებულებებისა. შეცვლილი მოდელი იყენებს ნულოვან კორპორაციულ საგადასახადო განაკვეთს შენარჩუნებულ მოგებაზე და 15% კორპორაციული საგადასახადო განაკვეთი განაწილებულ მოგებაზე, შედარებით 15%-იანი კორპორაციული საგადასახადო განაკვეთის წინა მოდელთან, რომელიც დაკისრებული იყო კომპანიის მოგებაზე გადასახადით დაბეგვრამდე, მიუხედავად შეკავების ან განაწილების სტატუსისა. ცვლილებამ დაუყოვნებლივ მოახდინა გავლენა გადავადებულ საგადასახადო აქტივისა და გადავადებულ საგადასახადო ვალდებულების ბალანსებზე, რომლებიც მიეკუთვნება ადრე აღიარებულ დროებით სხვაობებს, წარმოქმნილს წინა პერიოდებიდან.

დაკავშირებული მხარის ფინანსური გარიგებების პირველადი აღიარება

ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობის დროს, კომპანია დებს ფინანსურ გარიგებებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. მცირე და საშუალო საწარმოების ფასს სტანდარტი საჭიროებს ფინანსური საშუალებების პირველად აღიარებას, მათი რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით. შეფასება გამოიყენება იმის განსაზღვრაში, ფასდება თუ არა გარიგება საბაზრო ან არაკონკურენტულ ფასებში, მაშინ როცა არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი ფინანსური გარიგებებისთვის. შეფასების საფუძველი არის ფასწარმოქმნა მსგავსი ტიპის ფინანსური გარიგებებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება მხარეებს.

ძირითადი საშუალების სარგებლობის ხანგრძლივობა

კომპანიამ გამოიყენა შეფასება პირადი დამცავი მოწყობილობის სარგებლობის ხანგრძლივობის განსაზღვრისას, იმგვარი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური და კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება ფიზიკური აქტივობისა და მოსალოდნელი ცვლის სავარაუდო შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. ასევე, მენეჯმენტმა საუკეთესო შეფასება გააკეთა აქტივში შემავალი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელის განსაზღვრისას, ისინი შესაძლოა განსხვავდებოდნენ ფაქტიური შედეგებისგან, რაც შესაძლოა მატერიალურ გავლენას ახდენდეს ფინანსურ ანგარიშში წარმოდგენილ ციფრებზე.

შპს „ვალურ ლოჯისტიკს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

3. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	მსუბუქი ავტომობილები	მძიმე ტექნიკა	არამატერიალური აქტივები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
იანვარი 1, 2020	-	-	1,800,292	-	1,800,292
მატება	312,681	62,186	6,473,541	-	6,848,408
კლება	-	-	518,471	-	518,471
დეკემბერი 31, 2020	312,681	62,186	7,755,362	-	8,130,229
მატება	74,363	-	667,410	4,136	745,909
კლება	-	-	368,210	-	368,210
დეკემბერი 31, 2021	387,044	62,186	8,054,562	4,136	8,507,928
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>					
იანვარი 1, 2020	-	-	(6,764)	-	(6,764)
მიმდინარე წლის ცვეთა	(829)	-	(519,800)	-	(520,629)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	17,365	-	17,365
დეკემბერი 31, 2020	(829)	-	(509,199)	-	(510,028)
მიმდინარე წლის ცვეთა	(9,849)	(6,219)	(823,923)	(254)	(840,245)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	51,442	-	51,442
დეკემბერი 31, 2021	(10,678)	(6,219)	(1,281,680)	(254)	(1,298,831)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>					
იანვარი 1, 2020	-	-	1,793,528	-	1,793,528
დეკემბერი 31, 2020	311,852	62,186	7,246,163	-	7,620,201
დეკემბერი 31, 2021	376,366	55,967	6,772,882	3,882	7,209,097

4. მარაგები

კომპანიის მარაგები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
საწვავ-საცხები მასალები	400	179,307
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	12,111	-
მცირეფასიანი სამეურნეო საქონელი	12,313	-
სულ	24,824	179,307

**ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის**

5. სავაჭრო მოკლევადიანი მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოკლევადიანი მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,387,967	1,198,222
საექვო მოთხოვნების კორექტირება	-	-
სულ	1,387,967	1,198,222

სავაჭრო და სხვა დავალიანება ძირითადად მოიცავს კომპანიის მიერ გაწეული მომსახურებისათვის, კომპანიის პროვაიდერების მხრიდან დავალიანებას.

პირობები აღიარებულია, როდესაც საწარმოს გააჩნია მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული), როგორც შედეგი წარსული მოვლენისა, შესაძლებელია, რომ საწარმოს მოეთხოვებოდეს ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების დასაფარად საჭირო საუკეთესო ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

პირობად აღიარებული თანხა წარმოადგენს საუკეთესო ხარჯთაღრიცხვას, რომელიც აუცილებელია საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული ვალდებულების დასაფარად, ვალდებულების ირგვლივ არსებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით.

როდესაც ეკონომიკური ბენეფიტის რაიმე ნაწილი მოითხოვს ისეთი პირობის დადგენას, რომელიც გულისხმობს მესამე მხარისაგან დაფარვას, დებიტორული დავალიანება მოისაზრება როგორც აქტივი, თუკი ის ფაქტობრივად დაადასტურებს, რომ ანაზღაურება იქნება მიღებული და მისაღები თანხის ოდენობა საიმედოდ იქნება შეფასებული.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	7,023	782
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	18,314	199,738
ნაღდი ფული სალაროში	151	19,931
სულ	25,487	220,451

ფულადი სახსრების ნაშთები საბანკო ანგარიშებზე შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც დაბალი რისკის მქონე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბანკებში, სადაც კომპანიას აქვს მიმდინარე ანგარიშები საიმედო საკრედიტო დაწესებულებებია.

7. წინასწარ გაწეული ხარჯები

კომპანიის წინასწარ გაწეული ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

შპს „ვალურ ლოჯისტიკს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
წინასწარ გადახდილი ხელფასი	15,051	6,988
წინასწარ გადახდილი დაზღვევის ხარჯი	122,430	165,077
სულ	137,481	172,065

8. მიმდინარე ვალდებულებები

კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	280,461	30,914
სულ	280,461	30,914

9. შემოსავალი მომსახურებიდან

კომპანიის შემოსავალი მომსახურებიდან 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ადგილობრივი გადაზიდვები	300,238	164,580
საერთაშორისო გადაზიდვები	4,044,167	2,135,903
სხვა შემოსავლები სატრანსპორტო მომსახურებიდან	1,539,365	970,433
სულ	5,883,770	3,270,916

10. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

კომპანიის გაწეული მომსახურების თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ხელფასის ხარჯი	902,633	1,045,999
ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯი	1,551,217	1,310,433
სარემონტო/საბაჟო/საწყობის იჯარის ხარჯები	147,510	-
გადაზიდვების ნებართვის გაცემის მომსახურება	269,315	158,118
დაზღვევა	311,341	128,576
საწვავის ხარჯი	2,047,081	-
სხვა	-	17,530
სულ	5,229,097	2,660,656

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

შპს „ვალურ ლოჯისტიკს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
შრომის ანაზღაურება	488,260	244,161
სხვა ხარჯი	141,214	29,771
საიჯარო ქირა	131,943	82,453
იჯარით აღებული ფართის კეთლმოწყობა	75,337	-
ქონების გადასახადი	70,984	52,655
საწვავის ხარჯი	-	26,063
სულ	907,738	435,103

12. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები

კომპანიის სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	315,650	512,531
არასაოპერაციო ზარალი	1,017	9,068
სხვა ხარჯები	12,582	95,801
329,249	617,400	

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	95,951	130,777
შემოსავალი ძირ. საშუალებების რეალიზაციიდან	209,430	571,738
დაუბეგრავი	39,001	
დაბრუნებული საქონელი	35,748	7,622
სუბსიდია	380,130	710,137

13. მოგების გადასახადი:

2016 წლის მაისში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა მიმდინარე კორპორაციული დაბეგვრის მოდელის ცვლილება ყველა საწარმოსათვის, გარდა კონკრეტული ფინანსური დაწესებულებისა, 2017 წლის 01 იანვრიდან ძალაში შესვლას დაქვემდებარებული ცვლილებებით. შეცვლილი მოდელი გულისხმობს ნულოვანი კორპორაციული გადასახადის განაკვეთს შენარჩუნებულ მოგებაზე და 15 %-იან კორპორაციულ საგადასახადო განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე, შედარებული კომპანიის წინა მოდელთან - 15%-იანი საგადასახადო განაკვეთთან, შენარჩუნების ან განაწილების სტატუსის მიუხედავად. ცვლილებამ დაუყოვნებლივი ზეგავლენა იქონია გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებზე, რაც წინა პერიოდებში წარმოშობილ დროებით სხვაობებს განეკუთვნება.

ფინანსური ინსტრუმენტები

კაპიტალის მართვა

საწარმო მართავს საკუთარ კაპიტალს, რათა უზრუნველყოს, რომ საწარმოში შემავალ სუბიექტებს შეეძლებათ თავიანთი საქმიანობის გაგრძელება, დაინტერესებული მხარეებისათვის

შპს „ვალურ ლოჯისტიკს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შემოსავლიანობის მაქსიმიზაციით, დავალიანების ბალანსისა და აქციონერული კაპიტალის ოპტიმიზაციის გზით. საწარმოს საერთო სტრატეგია 2016 წლიდან უცვლელია.

საწარმოს კაპიტალის სტრუქტურა შედგება წმინდა დავალიანებისა და საწარმოს აქციებისაგან.

საწარმოზე არ მოქმედებს გარედან დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

საკრედიტო რისკი

კომპანია იღებს პასუხისმგებლობას საკრედიტო რისკზე, რომელიც წარმოადგენს ისეთ რისკს, რომლის ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აყენებს ფინანსურ ზიანს მეორე მხარეს. საკრედიტო რისკის ზემოქმედება წარმოიშობა კომპანიის მიერ პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვისას და სხვა ოპერაციებთან ურთიერთთანამშრომლობით, რაც ამაღებს ფინანსურ აქტივებს.

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სავაჭრო მოთხოვნები	1,387,967	1,198,222
საბანკო ვალდებულება	-	-
	1,387,967	1,198,222

საბაზრო რისკი

კომპანია იღებს პასუხისმგებლობას საბაზრო რისკზე. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან შემდეგ შემთხვევებში: (ა) უცხოური ვალუტა; (ბ) პროცენტის მატარებელი აქციები და ვალდებულებები და (გ) კაპიტალის პროდუქტები, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო მოძრაობებს. მენეჯმენტი განსაზღვრავს რისკების ღირებულებას, რომელთა დაკვირვება ყოველდღიურად ხდება. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ ახდენს საზღვრებს მიღმა ზარალის დადგომის პრევენციას, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო მოძრაობის შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილი საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა ემყარება ფაქტორის ცვლილებას, რა დროსაც მუდმივად ინარჩუნებს ყველა სხვა ფაქტორს. პრაქტიკაში, ეს ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდეს და ზოგიერთ ფაქტორში შეიძლება შევიდეს ცვლილებები - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის ისეთი რისკი, რომელიც ადგენს, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითად იმოქმედებს კურსის ცვლილება, რომლის მიმართაც კომპანია დაუცველია. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის, ამავე დროს კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს ამგვარი რისკის შემსუბუქებას კომპანიის დონეზე უცხოური ვალუტის ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მართვის გზით.

კომპანია ახორციელებს უცხოური ვალუტით დენომინირებულ გარიგებებს; შესაბამისად, წარმოიქმნება სავალუტო კურსის მერყეობის რისკი.

კომპანიის უცხოური ვალუტის დენომინირებული ფულადი აქტივები საანგარიშო ღირებულებები საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს არის შემდეგნაირი:

	დეკემბერი 31, 2021	დეკემბერი 31, 2020
ლარი	7,023	782
დოლარი	5,813	60,908
ევრო	82	41
თურქული ლირა	1	-
სულ	12,919	61,731

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია მოგებისა და ზარალის და აქტივების მგრძნობელობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს განხორციელებულ სავალუტო კურსის შესაძლო გონივრულ ცვლილებებზე, კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, ხოლო ყველა სხვა ცვლადი შენარჩუნებულია უცვლელად.

	დეკემბერი 31, 2021
მოგება/ზარალი	3,659/(3,659)

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ისეთი რისკი, რომელიც იცვლება მცურავ საპროცენტო განაკვეთებში და უარყოფითად მოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ საპროცენტო განაკვეთის მართვის მიზნით, ამავ დროს, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული წილი განისაზღვრება ფიქსირებული განაკვეთებით და, შესაბამისად, რისკი მცირდება.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, როდესაც საწარმო განიცდის სირთულეებს საფინანსო ვალდებულებების შესრულების დროს. კომპანია დაუცველია ყოველდღიური ზარებისაგან მის ნაღდ რესურსებთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ მოძრავ პროგნოზს.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, პირველ რიგში, სესხებისაგან. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების რაოდენობას (შენიშვნა 7). მენეჯმენტის შეფასებით, ფულადი სახსრებისა და საბანკო დეპოზიტების პორტფელის ლიკვიდურობა, გარდა შეზღუდული ფულადი სახსრებისა, შეიძლება განხორციელდეს ნაღდი ანგარიშსწორებით, ერთი დღის განმავლობაში, გაუთვალისწინებელი მოთხოვნების ლიკვიდაციის მიზნით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია აქტივები და ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის შესაბამისად.

	დეკემბერი 31 2021						
	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	Total
აქტივი							
- ფული და ფულის ეკვივალენტები	25,487	-	-	-	-	-	25,487
- გრძელვადიანი აქტივები	-	-	-	-	-	7,209,097	7,209,097
- მოთხოვნები მომსახურებიდან	1,387,967	-	-	-	-	-	1,387,967
- სხვა მიმდინარე აქტივები	-	94,232	-	-	-	-	94,232
- წინასწარ გადახდილი საგადასახადო ხარჯები	-	-	654,335	-	-	-	654,335
მოთვლიანი აქტივები	1,413,454	94,232	654,335	-	-	7,209,097	9,371,118

შპს „ვალურ ლოჯისტიკს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ვალდებულებები

სესხები

ბანკის სესხები

სხვა ფინანსური ვალდებულებები

- სავაჭრო ვალდებულებები	280,461	-	-	-	-	280,461
- საგადასახადო ვალდებულებები	846	-	-	-	-	846
- სხვა ვალდებულებები	-	147,702	-	-	-	147,702
- მოკლევადიანი სესხები	-	-	-	2,702,511	-	2,702,511
- გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-	-	8,117,128	8,117,128
- მოკლევადიანი ვალდებულებები	280,461	-	-	-	-	280,461
მთლიანი ვალდებულებები	561,767	147,702	-	-	2,702,511	8,117,128
მთლიანი ლიკვიდურობა	851,687	(53,470)	654,335	-	(2,702,511)	(908,031)

დაფარვის ვადის ცხრილში ასახული თანხები არის არადისკონტირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის თანხის ანგარიშგება ემყარება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოური ვალუტის გადახდები იცვლება ადგილზე გაცვლითი კურსის გამოყენებით საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას კომპანიის მფლობელები ასრულებენ მათი საჭიროებების შესაბამისად, კომპანიის კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შესაბამისად. კომპანია მართავს მხოლოდ მისი კაპიტალის სტრუქტურას იმ სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად, სადაც კომპანია მოქმედებს.

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მაღალი მენეჯმენტის წევრები და მშობელი კომპანია.

შემდეგი ტრანზაქციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მენეჯმენტის ხელფასები და ბონუსები	245,074	134,102
	245,074	134,102

15. კონტინგენტები

სამართლებრივი პროცესები

თვითშეფასებებისა და შიდა პროფესიული რჩევების გათვალისწინებით, კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ არანაირი პრეტენზია არ გამოიწვევს მატერიალურ ზარალს და შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნა განხორციელებული რაიმე დებულება ან გამჟღავნება.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას და ცვლილებებს, რომლებიც შეიძლება ხშირად განხორციელდეს. მენეჯმენტის მიერ ისეთი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება კომპანიის ტრანზაქციებისა და საქმიანობის დროს, შეიძლება სადავო გახდეს შესაბამისი ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება უფრო დამაჯერებელი და დახვეწილი მიდგომა გამოიყენონ კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმებების ინტერპრეტაციაში და შესაძლებელია, რომ გარიგებები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში არ ყოფილა სადავად ქცეული - შეიძლება გასაჩივრდეს. შედეგად, შეიძლება დაკისრებულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტი თვლის, რომ მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია მიზანშეწონილია და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები უცვლელი დარჩება. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, არ ყოფილა დაფიქსირებული პოტენციური საგადასახადო ვალდებულებების არავითარი დებულება (2021 წლის 31 დეკემბერი: დებულება არ არის).

16. მნიშვნელოვანი მოვლენები საანგარიშო თარიღის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ გამოვლინდა, ისეთი მოვლენა რომელიც მოითხოვდა შესწორებას ან გამჟღავნებას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.